შეთანხმების ფურცელი

„საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (OPCW) შორის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ შეთანხმების" პროექტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ

N	უწყება	შენიშვნა	გათვალისწინება
1.	საგარეო საქმეთა სამინიტრო	შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია	
2.	იუსტიციის სამინისტრო	1. OPCW-ს თანამდებობის პირებისა და ექპერტებისათვის, იმ შემთხვევაში თუ ისინი არიან საქართველოს მოქალაქეები, საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ფროს, მათთვის სისხლისსამართლებრივი იმუნიტეტისა და საგადასახადო შეღავათების მინიჭების საკითხი უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.	არ არის გათვალისწინებული საქართველო, როგორც ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფო ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის მე-8 მუხლის 50-ე პარაგრაფის თანახმად ვალდებულია ხსენებულ ორგანიზაციასთან გააფორმოს ხელშეკრულება პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ. კონვენციის მე-8 მუხლის 48-ე პუნქტი ითვალისწინებს, რომ ორგანიზაციამ (OPCW) წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და იურისდიქციის ან კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ სხვა ადგილზე უნდა ისარგებლოს ისეთი სამართლებრივი უფლებაუნარიანობითა და ისეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც აუცილებელია მისი ფუნქციების განხორციელებისათვის. ეს მნიშვნელოვანია ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის და არა კონკრეტული ინდივიდის ინტერესებისათვის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ OPCW-ს არსებობის ისტორიაში არ ყოფილა პრეცედენტი რომ ხსენებულ ორგანიზაციას რომელიმე წევრ-სახელმწიფოს ტერიტორიაზე

23.07.15

N	უწყება	შენიშვნა	გათვალისწინება
			დაეფუძნებინოს ფილიალი ან წარმომადგენლობა. შესაბამისად, OPCW -ს წარმომადგენლების მიერ ზემოხსენებული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობა განხორციელდება მხოლოდ საქართველოში დაგეგმილი მოკლევადიანი ოფიციალური ვიზიტებისა და გეგმიური ინსპექციებისას (აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ OPCW-ს თანამშრომლები ფლობენ გაეროს პასპორტს (laissez-passer). ამას გარდა, ორგანიზაციის აზრით, როდესაც საქართველო შეუერთდა გაეროს სპეციალიზებული ორგანოების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ კონვენციას, მას არ დაუფიქსირებია არანაირი დათქმა მისი მოქალაქეების მიმართ კონვენციის გამოყენებისა თუ არგამოყენების თაობაზე. ანალოგიურად, OPCW ვერ ხედავს მიზეზს, თუ რატომ უნდა გავრცელდეს განსხვავებული მოპყრობა OPCW-ს თან მიმართებით.
		2. რაც შეეხება OPCW-ს ქონებისა და პერსონალისთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭებას, აღნიშნულთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი დაბეგვრისგან განსხვავებული ნორმები შესაძლებელია დადგინდეს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით.	არ არის გათვალისწინებული, იხილეთ იუსტიციის სამინისტროს მე-4 პუნქტის კომენტარი.

N	უწყება	შენიშვნა	გათვალისწინება
		3. შეთანხმების პროექტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, OPCW-ს თანამდებობის პირები უნდა გათავისუფლდნენ სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებისგან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, OPCW-ს მოთხოვნის საფუძველზე, საქართველომ უნდა გადაუვადოს ასეთ პირებს სახელმწიფო სამსახურის ვალდებულება. გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო სამსახურის ვალდებულება შესაძლებელია მოიცავდეს სამხედრო სავალდებულო სამსახურს, რომლის გადავადება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის გადახდის საფუძველზე.	იხილეთ, თანდართული საინფორმაციო ბარათი სამხედრო ვალდებულებებისგან OPCW-ს თანამდებობის პირთა გათავისუფლების თაობაზე ინგლისურ ენაზე, რომელიც გაეგზავნა ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას. ორგანიზაციამ აღნიშნული ბარათი ცნობად მიიღო და დაგვეთანხმა, რომ იმოქმედებს ბარათში გაწერილი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.
		4. წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი, მისი მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საჭიროებს რატიფიცირებას საქართველოს პარლამენტის მიერ.	გათვალისწინებული იქნება ნაწილობრივ შეთანხმების მე-12 მუხლი თავად ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას.
3.	ფინანსთა სამინისტრო	1. მე-3 მუხლის (OPCW-ის პრივილეგიები და იმუნიტეტები) მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში, სიტყვები: „იმპორტ/ექსპორტის გადასახდელებისგან „ შეიცვალოს შემდეგი რედაქციით: „იმპორტის (საბაჟო) გადასახდელებისგან".	გათვალისწინებულია
		2. მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მის პუბლიკაციებზე იმპორტის (საბაჟო) გადასახდელებისგან, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვებისგან და შეზღუდვებისგან".	გათვალისწინებულია
		3. მიზანშეწონილია, შეთანხმების პროექტის მე-3 მუხლის (OPCW-ის პრივილეგიები და იმუნიტეტები) მე-7 პუნქტის ბოლოს წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველო, როცა ეს	გათვალისწინებულია

N	უწყება	შენიშვნა	გათვალისწინება
		შესაძლებელია, ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ ღონისძიებებს აღნიშნული მოსაკრებლების და გადასახადების თანხის უკან დაბრუნების ან თანადაფინანსების მიზნით". 4. ამასთან, პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაძატებითი ასიგნებების გამოყოფის გარეშე.	გათვალისწინებული იქნას
4.	შინაგან საქმეთა სამინისტრო	1. აუცილებელია, შეთანხმების პროექტის მე-6 და მე-7 მუხლებს დაემატოს დებულება, რომ აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული პრივილეგიები და იმუნიტეტები (სულ მცირე: იმუნიტეტი პირად დაპატიმრებაზე ან დაკავებაზე) არ გავრცელდება იმ პირებზე, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები ახორციელებენ სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას ყველა იმ დანაშაულებრივ ქმედებაზე, რომლებიც ჩადენილია საქართველოს მოქალაქეების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეებზე არ ვრცელდება ე.წ. „ექსტრატერიტორიულობის პრინციპი".	არ არის გათვალისწინებული *იხ. იუსტიციის სამინისტროს პირველი შენიშვნის კომენტარი*
		2. შეთანხმების პროექტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ā" ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „იმუნიტეტი პირად დაპატიმრებაზე ან დაკავებაზე თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას ჩადენილი ქმედების მიმართ და პირადი ბარგის ჩამორთმევაზე".	არ არის გათვალისწინებული მე-7 მუხლის პირველ პუნქტში ნათლად არის ნათქვამი, რომ "ექპერტებს ენიჭებათ შემდეგი პრივილეგიები და იმუნიტეტები იმდენად, რამდენადაც *ეს აუცილებელია მათი ფუნქციების ეფექტური განხორციელებისათვის, ამ ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით* მგზავრობისას გატარებული დროის

N	უწყება	შენიშვნა	გათვალისწინება
		3. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩვენს პირველ შენიშვნაში მოცემული საკითხი შეთანხმებულ იქნეს საქართველოს პროკურატურასთან.	ჩათვლით." აღნიშნული საკითხი შეთანხმდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, რომელმაც მის პირველ შენიშვნაში *(იხ. ზემოთ)*, რომელიც ხსენებულ საკითხს ეხევა, დააფიქსირა როგორც იუსტიციის სამინისტროს, ასევე საქართველოს პროკურატურის პოზიცია. თუმცა, როგორც იუსტიციის სამინისტროს პირველ შენიშვნასთან დაკავშირებით აღინიშნა, ეს შენიშვნა არ არის გათვალისწინებული და შესაბამისი ასხნა-განმარტება წარმოდგენილია წინამდებარე შეთანხმების ფურცლით.
5.	თავდაცვის სამინისტრო	შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია	
6.	გარემოს დაცვის სამინისტრო	შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია	